

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ
საკრებულოს თავმჯდომარის
ანგარიში

დღევანდელი ჩემი ანგარიში ერთგვარი შეჯამებაა ჩვენი ერთწლიანი საქმიანობისა. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ხელმძღვანელობა, საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე ვთვლი, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს საქმიანობა იყო ნაყოფიერი, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩეველს. რიგ საკითხებზე, რომელიც საკრებულოს სხდომებზე განიხილებოდა იყო ცხარე კამათი, პრობლემების გადაჭრისათვის მიდგომის განსხვავებული პოზიციები.

როგორც მოგეხსენებათ, საკრებულო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელსაც თვითმმართველობის განხორციელების პროცესში წამყვანი როლი ეკისრება.

საკრებულო შედგება 26 წევრისგან, რომელთაგან 15 წევრი არჩეულია პროპორციული, ხოლო 11 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჩემს ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებ მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოს მიერ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება.

გასული წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია საკრებულოს 14 სხდომა. მიღებულია 22 დადგენილება და 27 განკარგულება.

კომისიების დასკვნების საფუძველზე საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებები და განკარგულებები სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ჩემს ანგარიშში მინდა რამდენიმე წინადადებით შევხებო 2020 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტს, რომელიც შეადგენდა 12.425.1 ათ. ლარს, მათ შორის: გადასახადების მოცულობა 5.825.2 ათას ლარი, ფონდების გამოყოფილი ტრანსფერები 6.029.1 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებას განსახორციელებლად 180.0 ათ. ლარი, სხვა შემოსავალი 370.8 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 20.0 ათ. ლარი, გადასახადები 14.975.7 ათ. ლარი. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულომ საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად და ვადების სრული დაცვით

განხილა და დაამტკიცა, საჯაროდ გამოცხადდა (გამოიკრა) ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან, მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობთ მნიშვნელოვანი პროექტების განხილვასა და უმთავრესი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის ფორმირებაში.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათება, კეთილმოწყობის ღონისძიებები, კულტურული განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხები.

წელს ისევ ამოქმედდა სოფლის განვითარების პროგრამა და მოსახლეობას მიეცა შესაძლებლობა თვითონ განეკარგა სოფლისთვის გამოყოფილი ფინანსები.

საკრებულოს საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

საკრებულოს კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომისიების კარგად ორგანიზებული და ეფექტური მუშაობა. აუცილებელია, რომ საკრებულოში არსებული ხუთი კომისია ყოველთვის პრინციპულად უდგებოდეს საკრებულოს მიერ მისაღები დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტების წინასწარ განხილვას და მათში შესაბამისი კორექტირების შეტანას. საკრებულოში ფუნქციონირებს 6 ფრაქცია.

უდიდესი პატივია ვემსახუროთ საკუთარ ქვეყანას და ადამიანებს უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა შევუქმნათ.

ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა წევრს, საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარე



სუმბატ კიურელიან